აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის

# გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 41

16 ივნისი 2004 წ. ქ. ბათუმი

## აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2004 წლის 20 ივნისის არჩევნებისათვის სპეციალური ჯგუფების შექმნისა და შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2004 წლის 13 ივნისის №27 დადგენილების საფუძველზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

**მუხლი 1.** კენჭისყრის ჩატარებისა და ხმების დათვლის უზრუნველსაყოფად №79/2 ბათუმის №29 უბანზე, №80/8 ქედის №17 და №18 უბნებზე, №82/9 შუახევის №25,26,27,28 უბნებზე, №82/10 შუახევის №20,21,22,23 უბნებზე, №83/5 ხელვაჩაურის №23 უბანზე, №83/6 ხელვაჩაურის №29 და №30 უბნებზე, №84/11 ხულოს №27,28,29,30,31,32 უბნებზე, №84/12 ხულოს №20,21,22,23,24,25 უბნებზე შეიქმნას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის სპეციალური ჯგუფები;

**მუხლი 2.** აღნიშნული სპეციალური ჯგუფების შემადგენლობა დამტკიცდეს თანდართული სიის საფუძველზე;

**მუხლი 3.** სპეციალური ჯგუფების უფლებამოსილება განისაზღვროს საუბნო საარჩევნო კომისიებისათვის კანონით გათვალისწინებული ფარგლებით;

**მუხლი 4**. სპეციალური ჯგუფების უფლებამოსილება შეწყდება შესაბამის საარჩევნო უბანში კანონით გათვალისწინებული ყველა პროცედურის დასრულებისთანავე;

**მუხლი 5**. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის 5) მისი მიღებიდან 3 კალენდარული დღის ვადაში.

**მუხლი 6**. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ფაღავა

კომისიის მდივანი გიზო მჭედლიძე